161

# საქართველოს გაზეთი

დეკემბრის იბ დღესა ჩყით წელსა თფილისში.

## Ho. 41.

### განცხადებანი.

უწყებულის საქართველოს მმართებლობის სახაზინო ექსპედიცია აცხადებს, რომელ ვისაც ჰსურდეს განწესება სამზღვრებში რუსეთ-ყუ-ბეს მარილის სახაზინო ქრისტეს წელიწად-ში ორმოც და ათის თუმნის ვეცხლის ფულის ფასით, იგი გამოცხადდებოდეს მისთვის ამ ექსპედიციაში და წარმოადგენდეს როგორც ძველსა ზედა თვისსა აქცენტათა, ეგრეთვე ამავე საზღვრისა საკუთრივ საზღვრობის და-ცხადებს ზედა თავდებობისათა მოწმობათა.

დეკემბრის გ. დღესა. ჩყით წელსა.

საქართველოში მცხოვრებთ ეცხადებისთ, რომელ რომელთაც ჰსურდესთ მომავალს ჩყკ წელს მოიჯარადეობა აქაურის სამხედროს გოშპიტალისათვის სხვა და სხვათა საჭმელთა და სასმელთა და სხვათ მასალათა, ისინი გამოცხადდებოდენ საკუ-თრივ თბილისის სამხედროს გოშპიტალის კანცელარია-ში ყოველდღე კვირისა და უქმეს დღეს გარდა ხაზინისა და კეთილსაიმედოს გირაოებით, და მას-თანავე ჰქონდესთ მათ ადგილობითის მთავრობისა და სხვისა და რასტრავის ექსპედიციისაგან თავის მოწმობები, ან სათავდებოთ მამულებზედ მოწ-მობა, რომ ის იმათგან წარმოდგენილი გირაოებ-ში სწორედ იმით ჰსურდესთ, და იმათზედ სხვა დავა და მიება არა ვისი იყოს.

სამხედრო სამოქალაქო ღუბერნატორი უფა-ლი ღენერალ-მაიორი ხოვენი ამით აცხადებს, რომ ამ თვის იგ. რიცხვითგან იწყება გასა-ღება ნივთებისა სახელდობ: წამოსასხამის ნაჭრება, თოფებისა, დამბაჩებისა, ხმლებისა, ხანჯ-ლებისა, დანებისა, საწრუპებისა, სარკის წამლებისა, საქუდე ტყავებისა, რიდე-ნაშურებისა, ქილებისა, ტყავებისა, ხუ-რჯინებისა, ფულებისა, ლეკურის შალებისა და ქვაბებისა, და ამისთვის რომელთაც უნდოდესთ იმათი ყიდვა, ისინი უნდა გამოცხადდებო-დენ თბილისს კვირასა და უქმეს დღეს გარ-და.

---

### უცხოს ქვეყნის ამბავნი.

#### ისპანია.

იწერებიან, რომელ ანგლიას განუზრახავს შეხვლა იწროსა კავშირსა შინა ისპანიისა-თანა, და რომელ ანგლიის მინისტრმა ისპანიის მეფის კარსა ზედა გამოუცხადებია მისთვის გან-ზრახვა მმართებლობისა თვისისა წარგზავნისა

თჳს ამერიკელ მლოერისა რაოდენიმე სამხედროს ხომალდის ძლიერსასწრაფოდ ინსურგენტთა, რომელნიცა დაემალებიან ზღვასა ზედა და ნამდვილ მრიცხანის სამმართველოებს მიუღია ბრძანება, რათა აღჭურის თორმეტი ლინიის ხომალდი.

ანგლია აქ/ადევს მეგობრობის მოყვარებასა ამას მართლიად არა ერთგულებისათჳს ისპანიისა, არამედ მისთჳს, რათამცა დააყენოს იგი დამტკიცებისაგან ზავისა ჩრდილოეთის ამერიკისათანა, რომელიცა ნამდვილ არა დაანებებს მას ფლორიდასა, და რომელიცა თვინიერ იჭვისა გამოუკვლევს მას ბრძოლასა.— გარნა სხვათა ამბავთაგან ჰსჩანს, რომელ ისპანიის მმართებლობასა შეუწყვია მშვიდობის სარკინი უცხოს ქვეყანისა და უმეტეს ანგლიის ვაჭართა ზედა კადიქსს, და ვილრელი საკუთრივ აღუწერია მამული რომელთამე მათგანთა შეცხრილიად თუმართა წინამდებარისა საქმისა ამისთჳს. ეჭვართა ამათ ეთიარცა იწერებიან წარუგზავნიათ საჩივარი თჳსი მადრიდს ანგლიის ელჩითა და მას წარუდგენია იგი ისპანიის მინისტრისადმი. [სხვებრ ამბავი ესე სარწმუნო და მეორე სადამე დასარწმუნებელი არს. გ. იულისს ლინიის ხომალდი აზია მოსრულა ვერაკრუსითგან კადიქსს ოცის მილიონის—ფრანკითა (ფრანკი არის უცხოს ქვეყნის თეთრის სახელი) და მრავლის სხვა და სხვას მგზავრის საქონლით; ისპანიის მმართებლობას დიდად გაახარებია შემთხვევა ესე, ამისთჳს რომელ აწ ჰქონან მას საშუალებანი, რათა მოიყვანოს დასასრულისადმი აღჭურვა თჳსი არა მომლოდებელმან მშვიდთა და უმეტეს ჩვეულებითთა დროებათა.

დიამანტის მაზნიითგან მოდიან მრავალნი ბოლენი კადიქსს გამოსაცვლელად აღშფოთებულთა მხედრობათა, რომელთა ზედაცა რწმუნება არა იქმნების. დღეთა ამათ შინა ხუთი ათასი კაცი ამერიკად წარგზავნილი დაიმშვიდების განსამაგრებელად ღენერალის მორრილოს მხედრობისა, რომელიცა ვედრებითა ითხოვს შეწევნასა ამისთჳს, რომელ მხედრობასა მისსა ყოველდღე აკლდების დაუცხრომელთა ბრძოლათაგან ინსურგენტთათა. ნა, და ამათ დღითი დღე ემატების ძლიერება და გამბედველობა. სხვებრ ყოველთა კადიქსითგან მოსრულთა წერილთა შინა არა რაჲსა იწერებიან მუნებურთა გარემოებათათჳს; მუნ ყოველ დღე მოელიან დახსნით სიკვდილისა მათისა, რომელნიცა უპირველეს მიზეზ აღშფოთებისა იყვნენ — გარნა ფრიად შესაწუხებელი არს ჰაზრი ესე, ვინადგან შეიცვლები იგი არიან მეგობარნი კეთილმოღვაწე დიდებული სიცოცხლისანი შესაწყნელად საზოგადოებისა მამულისა.

---

სხვა და სხვანი ამბავნი.

წმიდის თომას კუნძულითგან მოსრულთა წერილთაგან ჰსჩანს, რომელ კე. მაისს კუმანის მახლობლად ყოფილა სისხლისმღვრელობითი ბრძოლაჲ ღენერალის მორრილოს და ინსურგენტთა შორის, რომელთაცა მიუღიათ ძლევა, გარნა დაჰკლებიათ მათ ოთხასი კაცი, და ღენერალს მორრილოს მათ ათასი კაცი, და მასთანა დაუკარგავს მას მრავალნი ზარბაზანი და ნაწილი ბარგისა.

უწინარეს ამისა წმიდის ელენას კუნძულის მცხოვრებთა და საკუთრივ უპირატეს მმართებელს ადმირალს ჰლუმშეინს შეშინებიათ შუაღამისას მძლიერის ზარბაზნის სროლითა ჰკონფებითა, რომელ

ამერიკანელთ ჰქონიათ განზრახვა შემოღებისა
ხიწოჭარგვს განსათავისუფლებლად, ვინა იდეს-
ცა წყლიდამ გამოუშვებიათ მაშინ აღმოჩენილთ
რომელ ადმირალის ადიუტანტი ჰპრომეშია შექ-
ცევა დუპერნაკორის მეუღლისა ლამითთა ზღვა-
სა შინა მოქმედებათა მიერ, და არა უკითხავს
ეგე ნაჩალნიკისა პასუხისათვს. ადმირალს უბრძა-
ნებია ადიუტანტისათვს, ამის შემდგომად ნურ-ღარ
იქმ მაგისთანას თავაზსათ.

ვენ: იენისს გვამი განსვენებულის ისპანიის კო-
როლევასი მეოთხის კარლის მეუღლისა და მეშვიდის
ფერდინანდის დედისა წაუღიათ რომითგან გუთის
და მუნითგან წარგზავნილ იქმნება ისპანიად
დასაფლავებლად ესკურიალსა შინა.

ჩრდილოეთის ამერიკის მმართებლობას გან-
უზრახავს შეერთება მდინარის კოლუმბიისა, რო-
მელიც ერთვის წყნარსა ოკეანესა, მდინარეთა-
თანა მისსურისა და მისსისიპისათა საშუალობითა გზა-
თა მათ, რომელნიცა გაუყვანილარიან საშუალ მაღალ-
თა მთათა. გარდა ამისა მდინარე მისისპი შეერთე-
ბულ იქმნება კანადის ტბათათანა საშუალობითა
თხრილთათა, რომელთაცა შინა შესაძლებელარს
ნავთა სლვაჲ. საშუშავენი ესე, რომელთა ზე-
დაც დანიშნულარს მოსახმარებელად წლიწადში
ორი მილიონი დოლლერი, (დოლლერი ჰქვიან უც-
ხოს ქვეყნის თეთრსა). ათსა შინა წელსა სრულ-
ლიქმნებიან, და გარნა ათის წლის შემდგომად
საქონელნი კიტაიისანი საშუალობით კოლუმბის
მდინარისა, ახალთა ამათ გზათა და მდინარეთა
მისისპისა და მისსურისათა მოტანილ იქმნებიან
ატლანტის ოკეანით ევროპასა შინა. წინასწარ
მიღება ეგე მისცემს ახალსა ძალსა ჩრდილოეთის
ამერიკის ვაჭრობასა და საუკუნო ჰყოფს სახელსა
აწინდელის პრეზიდენტის მონროესასა:

---

## შერთული ამბავი.

ანგლიის საზოგადოს გაზეთში მოიხსენიებიან
ეს შემდგომი ამბავი, რომელიცა დირისანი არ-
არის მოთხრობისა ლონდონს. ერთის სახლის გალე-
ბულს კარისწინ მდგარა მოახლე და ჰქონია ცხარი,
ლამპარაგი ერთის თავის მცნობის უმანკოს გაგონან,
მეორე კაცი დიად კარგად მორთული იმ დროს
მიმავალა ქუჩაში, და გაღებული კარი რომ და-
უნახავს მანამდის მოახლეს თვალი მოუსწრია მისთვს
ის წრაფად შესულა შინაგანს სახლში. მეორეს ოთა-
ხში უნახავს მას ქალი სკამზედ მჯდომი სტოლს
წინ, რომელზედაცა მდგარა ორი ვეცხლის შანდა-
ნი ანთებულის წმიდას სანთლით, ამ უცნობს
კაცს დაუპატიჟებელად წინ წაუღებამს სკამი, გვერ-
დით მოსჯდომია ამ განცვიფრებულს დედაკაცს და
დაუწყვია მასთან ლაპარაკი; ამ შემდგომის სიტ-
ყვებით,, მე თქვენ გელმწიფებათ, თუ ნებას
მომცემთ, გიამბოთ ერთის თქვენისთანას ხატოვა-
ცემულის გვამის სახლში მომხდარს საკვირველ

საკვირველს ამბავსა. ჩოხლე მისი ელაპარაკე-
ბოდა ქურაში ვიღაცაც უმანკოლს კაცს ქარიან-
სა, სწორედ ასე, როგორც ახლა მე თქვენ
ელაპარაკებით, და დააკაკუნა კარის დაკეტილს
ლითმა მარომა აგაზაკმა ისარგებლა ამ შემთხვე-
ვითა, შეკვრდა შინაგანს ოთახებში და ნახა
მატრიცემული სახლის პატრონი დედაკაცი იმ
სტოლს წინ მჯდომი, რომელზედაც ენთო ორი
სანთელი, ასე როგორც ახლა თქვენ ზიხართ,
აგაზაკმა ლიოს ხმის აღარ დაეჭო ოთახში, რო-
გორც ახლა მე ვიქმო, ჭმოინდომა გამოცლა თავი-
სის ხელოვნებისათ: იმან თილო ერთი შამდანი
და ჩაიდვა ჯიბეში სწორედ ასე, როგორც ახ-
ლა მე მოგილოცავდ ვშვრებით, მერმე გააქრო მეო-
რე სანთელი, რომელსაც მეც ისე ვიქმო, მეორე
ჩამოსაც ჯიბეში ჩაიდვა და სახლის პატრონს
ლამე მშვიდობისა უთხრათ, როგორც ახლა მეც
თქვენ კეთილის გულით გეუბნებით. ამისთანას
სიტყვებით მშვენიერად მოლაპარაკე აგაზაკი
გამოვიდა ოთახიდამ, და შეხვდა რა კარებში მოსა-
ხლეს, რომელსაც მანამდის თავისი ლაპარაკიც
გაეგონებინა, უთხრა მას, შენ აქ რასაკეთებო,
შენმა ქალბატონმა ორჯელ დაგიძახა ზარის
დაწკარუნებითაო, ის უსანთლოდ ზისო, უთხრა
რა ესე გამოვიდა აგაზაკი ქურაში, და მას აქეთ
ვეღარა გაუგიათრა ვეღარც მისი და ვერც
შამდნებისა.

ოდეს აგაზაკმა დაინახა მდიდარი ვაჭარი
კამეჟიაში მიმავალი, მაშინ გაჰყვა მას. და
უკან დაუდგა, რომ ჩუმათ შეეპყრა მისთვის კა-
ბიდამ ოქროს ღილები, ოდესაც კამეჟიაში პირ-
ველი თამაშობის მოქმედება გათავდა. მაშინ
ქურდი სწრაფად მოჰყვა ღილების შეპყრას, და
ვაჭარმაც ეს რომ დაინახა, ამოიღო პატარა და-
ნა და მარჯვენე შეაჭრა ყური ქურდსა, ქურდმა
შესძახა ეგ ჩემი ყურიაო, და ვაჭარმა უპასუხა
ეგ ღილებიც ჩემიაო, ქურდმა უთხრა აბა წაიღე შენი
ღილებიო, ვაჭარმაც უთხრა აჰა შენი ყურიც
მიირთვიო.

რომელსამე ქურდს ჰკითხეს შენ იმას ალი-
არებ, რასაც გწამობენო, იმან უპასუხა, მე უფ-
რო უმეტესად დავაშავე, რომ თქვენ დაგიჭე-
რინეო.